**თეატრი** დიდი სამლოცველო, არა წუთიერი გატაცების, დროებითი ამაღელვებელი,—არამედ ტაძარი, სადაც ხალხი კრბება, სულით ერთდება, ერთად აზროვნებენ, ლხინობენ, იმედობენ, სიყვარულით თბებიან.

**თეატრი** შრომის გამარჯვების ჰიმნი—მშრომელთ უბნებში.

**თეატრი** ხელოვნების რეალურ შემოქმედების ჩარჩოებში, ხალხისათვის გასაგებ ფორმაში აკინძული. აქ მირონს უნდა აკურთხდეს თვით მირონცხებული.

**ნიშანი** ჯ ე ი რ ა ნ ი.

**მსახიობი** ეამს მუხლმოყრილი კანდელოვან-ფანარ-თულ სვეტებში,—ეამს ეროებით ბორკილების ლეწვაში.

**მსახიობი** ტრიბეში, აგიტატორი, გუშაგი კაცთა შორის ძმობა-ერთობის და სიყვარულის საგუშაგოზე.

**მსახიობი** ტაეიისმფრქვეველთან ბარიკადებზე, შრომის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა წინა-რიგებში.

**მსახიობი** განსახიერება ძლევამოსილი მზიანობისა—მშვენიერების ქურუმი.

**ვაშა ხალხურ თეატრს, ვაშა მის მშრომელ აუდიტორიას!**

# ქრისტინე სამსჯავროს წინაშე

(ქართველ მწერალ ქალთა პირველი სალიტერატურო საღამო)

ქართველ მწერალ ქალთა თაოსნობით თებერვლის 24 პროფსაიუბილეს კლუბში გაიმართა პირველი სალიტერატურო გასამართლება „ქრისტინე"-ს გმირებისა. ეს მოთხრობა საგანსაბჭოდ გადმოაკეთა ნინო ტაფაშელაშვილმა, ხალხის სამსჯავროში საჩივარი შეიტანა ქრისტინემ (მსახიობქალი ეფ. მესხი). ამ საგნის შესახებ შედგენილი ოქმში აღწერილია მთელი ის პირობები, რომელთა წყალობითაც ქრისტინე მეძამის გზას დაადგა, გაუბედურდა, და, სხვათაშორის, ნათქვამია: „ეხლა, როდესაც გაიგო (ქრისტინემ), რომ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება მუშურ-გლეხურ თავისრობის ხელშია, შემოიტანა საჩივარი და თხოვნაზე, რომ მისი შეურაცყოფილი უფლება აღდგენილ იქნეს, რათა უსაყვედურო გვერიოს თავის ტოლებში, ხოლო მისი შვილი გოგია აღიარებულ იყვეს იასონ უქმაძის კანონიერ მემკვიდრედ და ამასთანავე მოითხოვს კანონისაგან სასტიკად დასჯას ყველა იმ პირებისას, ვინც ის თვთრ მონად გახადა."

ბრალდებულთა შორის იყვენ: იასონ უქმაძე (გ. ლორთქიფანანიძე), დათია ხელმოკლიძე (დ. მესხი), ნატალია ურცხვაძე (დამსახურებული მსახიობქალი ქეთო ანდრონიკაშვილი), სონია (ელო ანდრონიკაშვილი), მოწმენი—მარინე (მარიამ გარიყული) ტ. სხ. სასამართლოს შემადგენლობა: კოტე ლოლაბერიძე (თავმჯ.-რე), მსაჯულნი დარია ახკლედიანი, ალ. ბენდაქიძე, მდივანი—ლას. ჯანელი ბაროვანი, ბრალდებული—კატო მიქელაძე, დამცველი—ალ. ასლანიკაშვილი.

სხდომის გასხნისათანავე, თავმჯდომარის წინადადებით, დამსწრე საზოგადოებამ აირჩია სახალხო მსაჯულებად: ბ. ყულტატი, ნ. დოლიძე, სერგო ამაღლობელი, ცქმატი, დ. ქებაძე, იოსებ იმედაშვილი ი. ხუციშვილი, შ. ჭეიშვილი, ბაბილინა, ნ. ბარნაბიშვილი.

გამოძიება-კამათმა ცხოველი ხასიათი მიიღო. წარმოდგენილი გმირნი „ქრისტინე"-ს ტიპიურნი იყვნენ. ბრალდებულებისა და დამცველის სიტყვების შემდეგ მსაჯულებმა თავმჯდომარედ აირჩიეს იოს. იმედაშვილი. განაჩენის გამოტანის შესახებ კამათი დაიწყო საზოგადოების თანადასწრებით. დამნაშავედ იქნა ცნობილი ძველი წყობილება და ის პირობები, რომლებშიაც მოუხდათ ცხოვრება ხსენებულ გმირთ, მასთან ის გმირები, რომელნიც დროს მიმდინარეობას ვერ ეუჩრნენ, გარყვნილებას ეიეტნენ და სხვებსაც გარყვნილების გზაზე აყენებდნენ პირადი სარგებლობისათვის. საღამო ნაშუალამეევს 2 სა. გათავდა. საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა ნინო ტაფაშელაშვილსა და ქართველ მწერალ ქალთა ჯგუფს ასეთი საღამოს მოწყობისთვის.

**დამსწრე**

## საქართველოს ძველი ხუროთმოძღვრების გამოფენა.

ჩვენი ქვეყანა რომ მდიდარია მრავალნაირ ისტორიული ნაშთებით, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად ეღიდებენ ეროვნული კულტურის ძლევამოსილებას, ეს ყველასათვის ნათელია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჯერ ჩვენი ძველი ეროვნული კულტურა არ არის შესწავლილი და გამორკვეული; კიდევ რამოდენიმე ათეული წლეებია საჭიროა და აუცრებელი ენერგია, რომ ყველაფერი გამორკვეულ და შესწავლილი იქმნეს.

ამ მხრივ ყველაზე უფრო მივიწყებული იყო ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების შესწავლა, მაგრამ პატიეცემულმა პროფესორმა **გ. ჩუბინაშვილმა** ამ მხრივ ძალიან ბევრი რამ გააკეთა. ამაში დარწმუნდება ყველა ვინც დაათვალიერებს საქ. მუზეუმის შენობაში მის ხელმძღვანელობით და ინიციატივით გამართულ საქ. ხუროთმოძღვრების გამოფენას. აქ ნახავთ ალაგერდის, ნინოწმიდის, გავაზის, ატენის სიონის, მარტვილის და ანჩის-ხატის ეკლესიის და სხ. ხუროთმოძღვრების ნაშთებს. მეტად შინაარსიანია და იძლევა აუარებელ მასალას ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების შესასწავლად. შემდეგ ნომერში ჩვენ დაწვრილებით გავარჩევთ ამ მეტად მნიშვნელოვან გამოფენას.

## შემოწირულება

პ რ ო ვ ი ნ ც ი ი ს გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი

ვხედავთ-რა კვლავ განახლებულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს, ვფსოვრავთ ნანგრძლივობას ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ. ჩვენის მხრივ მის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად ჯერ-ჯერობით შემოგვაქვს

**ხუთ-ხუთი მანეთი ოქროთი.**

1) **ნოე ზაქარიას ძე დარჩიაშვილი.**
2) **მიხეილ დიანოსის ძე ჭრელაშვილი.**
3) **ალექსანდრე ძიძაძე.**

(ქიზიყი)

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება **ვ. ბარნოვის** ახალ რომანიდან **„სულთა კავშირი"**.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი** გამომცემელი—ომში დაჭრილთა შრომის არტელი **„ახალი ფრ**